



საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ევექტიანი
მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის
დირექტორის ბრძანება

თბილისი

16/12/2015

N ს/20


**ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის
სათათბირო საბჭოს შემადგენლობისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2015 წლის 16 აპრილის №18/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ევექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭოს დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭოს შემადგენლობა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელს, ირინა დვალს, წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).



გიორგი ტოკლიკიშვილი

დირექტორი

**ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის
სათათბირო საბჭოს დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სათათბირო საბჭო (შემდგომ - საბჭო) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემაში (შემდგომ - სწავლების სისტემა) ჩართული უწყებების ეფექტიანი თანამშრომლობის კოორდინაციის, სწავლების პროცესში ერთიანი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობის, სწავლების სისტემის ფუნქციონირების შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ამ დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის შესაბამისი მოადგილე. საბჭოს თანათავმჯდომარეა ცენტრის დირექტორი.

3. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა (შემდგომ - სამინისტრო) და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს, მუნიციპალიტეტების, დონორი ორგანიზაციებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათი თანხმობით.

4. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, თანათავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და წევრებისაგან.

5. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, მათი თანხმობით, საბჭოს შემადგენლობაში მონაწილეობენ როტაციის პრინციპით. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი საბჭოს წევრად ინიშნება 2 წლის ვადით.

მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები

საბჭო:

ა) ხელს უწყობს სწავლების სისტემაში ჩართული უწყებების, დონორი ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტების საქმიანობის კოორდინაციას, ეფექტიანი და მდგრადი სწავლების სისტემის ჩამოყალიბების პროცესს;

ბ) იხილავს ცენტრის მიერ სწავლების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშს;

გ) აფასებს ცენტრის მიერ სწავლების სისტემასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებებს;

დ) შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს სწავლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით;

ე) წარუდგენს ცენტრს შესაბამის წინადადებებს სასწავლო პროგრამების სპეციალური სტანდარტების დახვეწის მიზნით;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. საბჭოს უფლებამოსილება

საბჭო უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებისგან გამოითხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების უწყვეტი სწავლების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) ცალკეულ საკითხთა მომზადების, დასკვნების, წინადადებების, რეკომენდაციების, შემუშავების მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფები სწავლების სისტემაში ჩართული უწყებების, ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით;

გ) კონკრეტულ საკითხებზე საკონსულტაციოდ მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები;

დ) სწავლების სისტემის განვითარების ღონისძიებებისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, ითანამშრომლოს სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადგილობრივ, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან;

ე) მოამზადოს, განიხილოს და სამინისტროს წარუდგინოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბჭო მორიგ სხდომებზე იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს და წარმართავს თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში - თანათავმჯდომარე. თანათავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას წარმართავს თავმჯდომარის მოადგილე.

2. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ადგენს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - თანათავმჯდომარე, საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით.

3. საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული სხვა მასალები მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4. საბჭოს სახელით გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. საბჭოს სხდომაზე დგება სხდომის ოქმი.

6. საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას, თავის აზრს გამოხატავს წერილობით, რომელიც თან ერთვის სხდომის ოქმს.

7. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნეს საბჭოს თავმჯდომარის ან თანათავმჯდომარის, ასევე საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

მუხლი 6. საბჭოს ხელმძღვანელობა

1. საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში - თანათავმჯდომარე):

- ა) წარმართავს საბჭოს საქმიანობას;
- ბ) ამტკიცებს საბჭოს სამუშაო განრიგს;
- გ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.

2. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უფლებამოსილია შეასრულოს საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება საბჭოს თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში.

3. საბჭოს მდივანი:

- ა) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის გამართვის ორგანიზებას;
- ბ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენის, სხდომის მასალების შენახვისა და დაცვისათვის.

მუხლი 7. საბჭოს წევრის უფლებამოსილება

საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში, უშუალოდ ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, წარმოადგინოს წინადადებები და რეკომენდაციები საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებზე;
- ბ) გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გ) ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

მუხლი 8. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ცენტრი.

მუხლი 9. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანა ან დებულების გაუქმება ხდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის
სათათბირო საბჭოს შემადგენლობა**

თენგიზ შერგელაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ტოკლიკიშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორი, საბჭოს თანათავმჯდომარე;

მაკა კორძაძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ირინა დვალი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელი, საბჭოს მდივანი;

ქეთევან ბოჭორიშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

თამაზ მარსაგიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

გიგა გველესიანი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

მაია დვალიშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი;

შოთა მურღულია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი;

ზურაბ ჯირკველიშვილი - ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი;

დავით ჯიქია - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი;

ნათია გუდავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

დავით მელუა - ა(ა)იპ - კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს წევრი;

გიუნტერ ციმერი - ავსტრიის განვითარების სააგენტო საქართველოში, სამხრეთ კავკასიის ოფისის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

შომბი შარპი - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილე საქართველოში, საბჭოს წევრი;

რუსუდან აბულაშვილი - უცხოური საწარმოს ფილიალი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროგრამის „ადგილობრივი თვითმმართველობა სამხრეთ კავკასიაში“ მრჩეველი, საბჭოს წევრი;

ვახტანგ ნაცვლიშვილი - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის კოორდინატორი, საბჭოს წევრი.